ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6528970

ნომერი: AR1870411

თარიღი : 29.12.2021

გაცემის თარიღი : 26.06.2023

გაცნობის თარიღი : 27.06.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნინო ჟვანიას ქუჩა, N 24;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ჭაჭიაშვილი პ/ნ 01024010887
- თბილისი მ.ასათიანის ქ. N 10ა ბ. 40

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: "I" საცხოვრებელი კომპლექსი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი მარსაგიშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "G 2"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204529374

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ამხანაგობა ტერა ვერა
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205215024
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით სამადაშვილი

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01018002501

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2140427 (# 5005891; 01/07/2020)
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 17.08.2015

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 29/12/2021 წლის №AR1870411 განცხადებით მომართა ამხანაგობა „ტერა ვერას“ (ს/ნ 205215024) წარმომადგენელმა - ზურაბ ჭაჭიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 17/08/2015 წლის №2140427 ბრძანებით გაცემულ მშენებლობის ნებართვაში ცვლილების შეტანა, კერძოდ V ბლოკის მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება და ამავე ბლოკთან მიმართებაში დამკვეთად მხოლოდ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის, ამხანაგობა „ტერა ვერას“ დაფიქსირება.
სამსახურმა, გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2012 წლის 17 აგვისტოს №313276 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ: №3/62) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.12.003.062) მშენებარე ,,I საცხოვრებელი კომპლექსი“–ს (ხუთი ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, ხოლო, სამსახურის 17/08/2015 წლის №2140427 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო, მშენებლობის ახალი ნებართვა.
უფლებამოსილი ორგანოს მიერ I-IV ბლოკები მიღებულია ექსპლუატაციაში, ხოლო წარმოდგენილი განცხადებით მშენებლობის ნებართვაში ცვლილების შეტანა მოთხოვნილია მხოლოდ მშენებარე, V ბლოკთან მიმართებაში. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სამსახურს მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებლად მიაჩნია.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. ამხანაგობა „ტერა ვერას“ წარმომადგენელის - ზურაბ ჭაჭიაშვილის 29/12/2021 წლის №AR1870411 განცხადება დაკმაყოფილდეს.
2. შევიდეს ცვლილება სამსახურის 17/08/2015 წლის №2140427 ბრძანებაში, კერძოდ,

ა) ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. სამსახურის 2012 წლის 17 აგვისტოს №313276 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული V ბლოკის მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 26 ივნისიდან 2025 წლის 26 ივნისის ჩათვლით.“.

ბ) სამსახურის 2012 წლის 17 აგვისტოს №313276 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულ V ბლოკთან მიმართებაში დამკვეთად დაფიქსირდეს ამხანაგობა „ტერა ვერა“ (ს/ნ 205215024).

3. სამსახურის 17/08/2015 წლის №2140427 ბრძანება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას სამსახურის 17/08/2015 წლის №2140427 ბრძანებასთან ერთად.

- საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.
- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.